საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის

ბრძანება №1-1/1242

2006 წლის 23 ოქტომბერი

ქ. თბილისი

ზოგიერთი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს შემდეგი ნორმატიული აქტები:

ა) საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსა და საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს 1996 წლის 19 დეკემბრის №124/63 ბრძანება ,,საქართველოს კანონის ,,მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 13 სექტემბრის №596 ბრძანებულების შესაბამისად დამტკიცდეს ,,მოქალაქეთათვის ხანგრძლივი მოხმარების საგნების კრედიტით (განვადებით) მიყიდვის წესები“;

ბ) საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს, საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს 1996 წლის 19 დეკემბრის №127/58 ბრძანება ,,საქართველოს კანონის ,,მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 13 სექტემბრის №596 ბრძანებულების შესაბამისად დამტკიცდეს ,,საქონლის შეკვეთით და მყიდველის სახლში მიტანით გაყიდვის წესები“;

გ) საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს 1996 წლის 19 დეკემბრის №130 ბრძანება ,,საქართველოს კანონის ,,მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 13 სექტემბრის №596 ბრძანებულების შესაბამისად დამტკიცდეს ,,კომუნალური მომსახურების გაწევის წესები“;

დ) საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსა და საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს 1996 წლის 19 დეკემბრის №119/60 ბრძანება ,,საქართველოს კანონის ,,მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 13 სექტემბრის №596 ბრძანებულების შესაბამისად დამტკიცდეს ,,საზოგადოებრივი კვების ობიექტებში პროდუქციის წარმოებისა და რეალიზაციის (მომსახურების) წესები“;

ე) საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსა და საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს 1996 წლის 19 დეკემბრის №122/61 ბრძანება ,,საქართველოს კანონის ,,მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 13 სექტემბრის №596 ბრძანებულების შესაბამისად დამტკიცდეს ,,წვრილი სავაჭრო ქსელის, არასასურსათო საქონლის ორგანიზებული საცალო ბაზრობების მუშაობის წესი“;

ვ) საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსა და საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს 1996 წლის 19 დეკემბრის №125/57 ბრძანება ,,საქართველოს კანონის ,,მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 13 სექტემბრის №596 ბრძანებულების შესაბამისად დამტკიცდეს ,,არასასურსათო საქონლით საკომისიო ვაჭრობის წესები“;

ზ) საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსა და საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს 1996 წლის 19 დეკემბრის №128/59 ბრძანება ,,საქართველოს კანონის ,,მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 13 სექტემბრის №596 ბრძანებულების შესაბამისად დამტკიცდეს ,,ბეწვეული საქონლის გაყიდვის წესები“;

თ) საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსა და საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური

ურთიერთობების სამინისტროს 1996 წლის 19 დეკემბრის №123/62 ბრძანება ,,საქართველოს კანონის ,,მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 13 სექტემბრის №596 ბრძანებულების შესაბამისად დამტკიცდეს ,,ნიმუშების მიხედვით საქონლის გაყიდვის წესები“;

ი) საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს 1996 წლის 19 დეკემბრის ბრძანება №129 ,,საქართველოს კანონის ,,მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 13 სექტემბრის №596 ბრძანებულების შესაბამისად დამტკიცდეს ,,საქართველოში მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების წესი“;

კ) საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს 1996 წლის 19 დეკემბრის №134 ბრძანება ,,საქართველოს კანონის ,,მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 13 სექტემბრის №596 ბრძანებულების შესაბამისად დამტკიცდეს ,,სასტუმროებში გაწეული მომსახურების წესი“;

ლ) საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსა და საქართველოს ვაჭრობისა და საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების სამინისტროს 1996 წლის 19 დეკემბრის №137/67 ბრძანება ,,საქართველოს კანონის ,,მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ და საქართველოს პრეზიდენტის 1996 წლის 13 სექტემბრის №596 ბრძანებულების შესაბამისად დამტკიცდეს ,,ახალი ავტომოტოსატრანსპორტო საშუალებების გაყიდვის წესები“.

2. ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ი. ჩოგოვაძე